ხელშეკრულება N16
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 29 იანვარი 2018 წელი

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - არჩილ სირაბიძის სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2016 წლის 13 აპრილის №ს-162 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „შინდი", წარმოდგენილი დირექტორის დავით მახარაძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის შედეგად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, (კლასიფიკატორის კოდი - 7931000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. შესყიდვის ობიექტია: ბაზრის კვლევა ტექნიკური დავალების (დანართი №1) შესაბამისად.

1.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4950 ლარს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

2.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საინვესტიციო დეპარტამენტის უფროსი - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ვახტანგ ჭეიშვილი და ამავე დეპარტამენტის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის განყოფილების უფროსი - II სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ლაშა ფირცხალავა.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2018 წლის 15 მარტის ჩათვლით.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

3.3. შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ფინანსური დოკუმეტაცია.

3.4. შემსყიდველი მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საინვესტიციო დეპარტამენტის უფროსი - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ვახტანგ ჭეიშვილი და ამავე დეპარტამენტის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის განყოფილების უფროსი - II სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ლაშა ფირცხალავა.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

5.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

6.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

6.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6.5. მხარე ვალდებულია 6.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

6.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

6.7. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემათ მხარეებს.

7. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

7.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2018 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	შ.პ.ს. „შინდი“
ტელ: (+995) (222) 7-35-10	ტელ: (+995) 577-14-17-48
მისამართი: ქ. ბათუმი,	მისამართი: ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. 59, ბ. 3.
მ. კომახიძის ქუჩა N119	საბანკო რეკვიზიტები:
	ს.ს. „თიბისი ბანკი“
	ბანკის კოდი – TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი	ა/ნ – GE19TB7724436080100004
245429200	საიდენტიფიკაციო კოდი - 445463935
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი:	დირექტორი:
/ა. სირაბიძე/ ბ. ა.	/დ. ბახარაძე/ ბ. ა.

დანართი №1

ტექნიკური დავალება

აჭარის საინვესტიციო შესაძლებლობების მარკეტინგული სამოქმედო გეგმა

შესყიდვის ობიექტი მოიცავს აჭარის რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის უკეთ პოზიციონირებისთვის მარკეტინგული გეგმის შექმნას, რომელიც მოიცავს: არსებული სიტუაციის ანალიზს (ე.წ. SWOT და PEST ანალიზები, საინვესტიციო პრიორიტეტები, კონკურენტების ანალიზი), პოტენციური სამიზნე ბაზრების განსაზღვრა, საკომუნიკაციო არხების განსაზღვრა, 2018 წლის სარეკლამო სამოქმედო გეგმა და სარეკლამო კამპანიის შედეგების გაზომვის ინდიკატორები.

მარკეტინგული გეგმა:

სტრატეგიული ანალიზი

1. არსებული სიტუაციის ანალიზი:
- ადგილზე არსებული საინვესტიციო გარემოს მოკვლევა და ანალიზი (ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა (ე.წ. SWOT ანალიზი)
- ინვესტიციისთვის სასურველი პრიორიტეტის მოძიება
- გარე ფაქტორების მოკვლევა და ანალიზი (პოლიტიკური, გარემო, ლეგალური ტექნოლოგიური ა.შ. ფაქტორები (ე.წ. PEST ანალიზი)
- კონკურენტების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება
2. პოტენციური სამიზნე ბაზრების დადგენა
3. სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა თითოეულ ბაზარზე
4. სამიზნე აუდიტორიის მახასიათებლების მოძიება
5. კონკურენტული უპირატესობის დადგენა

სამოქმედო გეგმა

1. სამიზნე ბაზრების მიხედვით საკომუნიკაციო არხების განსაზღვრა
2. 2018 სარეკლამო კამპანიის დაგეგმვა და განფასება.
3. სარეკლამო კამპანიის შედეგების გაზომვის კრიტერიუმების დადგენა

შენიშვნა: აღნიშნული მომსახურება წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტის სახით 3 (სამი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად ვადასტურებ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „შინდი“-ს შორის 2018 წლის 29 იანვარს გაფორმებული №16 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სამინისტროს საინვესტიციო დეპარტამენტის უფროსი - I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ვახტანგ ჭეიშვილი და ამავე დეპარტამენტის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის განყოფილების უფროსი - II სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ლაშა ფირცხალავა არ ვიმყოფებით მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

შვებულება /ვ. შეიჭვილი/

_____ /ლ. ფირცხალავა/

29 იანვარი 2018 წელი